

2013 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	9
ფორმა N1 - ბალანსი	17
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	18
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	19
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	20
ფორმა N6- ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ	21
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები.....	22

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდეგში „სამინისტრო“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4, ფულადი გრანტების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5, ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №6.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც

მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2, ფორმა N3 და ფორმა N5, კერძოდ:

არაფინანსური აქტივები

ა) შენობა-ნაგებობები

როგორც სამინისტროს წინა პერიოდებში ჩატარებული აუდიტებით, ისე მიმდინარე აუდიტით გამოვლინდა, რომ საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 20.05.2009 წლის N1-1/1032 ბრძანების საფუძველზე სამინისტროსათვის, მის კომპეტენციაში არსებული ფუნქციების, ამოცანების და საკითხების განხორციელებისათვის, არსებობის ვადით, სამინისტროს სარგებლობაში გადმოცემული სამსართულიანი შენობა-ნაგებობის (ქ. თბილისი, კალოუბნის N16-ში საერთო ფართი 2 152.80 მ²) მეორე სართულის ნაწილზე და მესამე სართულზე სრულად, ყოველგვარი შესაბამისი საფუძვლის გარეშე (ისე როგორც წინა წლებში) განთავსებულია (სულ 793.91 მ² ფართზე) და ფუნქციონირებს სხვადასხვა შპს-ები (შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი“, შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ქალთა კონსულტაცია“, შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი „აფხაზეთი“, შპს „აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“, შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ოფთალმოლოგიური კლინიკა“, სსიპ „ზემო აფხაზეთის საავადმყოფო“). აღნიშნულით ადგილი აქვს სახელმწიფო ქონების უკანონოდ გამოყენების ფაქტს¹.

ბ) ჰუმანიტარული გზით მიღებული სამედიცინო აღჭურვილობები და სამედიცინო საშუალებები

2013 წლის განმავლობაში 7 სხვადასხვა სუბიექტიდან შემოსული იყო 352 892.00 ლარის ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთი (სამედიცინო აღჭურვილობები და სამედიცინო

¹ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტი და 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

მოხმარების საშუალებები). ჰუმანიტარული ტვირთის ძირითადი ნაწილი (342 454.40 ლარის ღირებულების) აფხაზეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2013 წლის 14 თებერვალს მიიღო საქართველოში მოქმედი საერთაშორისო დახმარებისა და განვითარების სააგენტოსაგან (IRD). მოცემული ჰუმანიტარული ტვირთი, სამინისტროს ინფორმაციით თავდაპირველად დროებით განთავსდა ქ.ზუგდიდში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ოფისში, ხოლო შემდგომ შესაძლებლად განთავსდა ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სასაწყობო მეურნეობის ტერიტორიაზე (ქ.ზუგდიდი, გორის ქ. №17). არც ერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საწყობის მფლობელებთან არ გაფორმებულა ხელშეკრულებები ჰუმანიტარული ტვირთის შესაბამის ფართზე განთავსებაზე (შენახვაზე) და ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით სასაქონლო ზედნადებიც არ გამოწერილა. აუდიტის დაწყების მომენტისათვის აღნიშნულ ტვირთთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი მატერიალურად პასუხისმგებელი პირი; კერძოდ, თავდაპირველად მატერიალური პასუხისმგებლობა დაკისრებული ჰქონდა სამინისტროს მთავარ სპეციალისტს ალექსანდრე ლომიას, რომელიც მინისტრის ბრძანებით 2013 წლის 10 დეკემბერს სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან. სამინისტროში არსებულ არაფინანსურ აქტივებზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ახალ მატერიალურ პასუხისმგებელ პირს - ნონა მორგოშიას. მას გადაეხარა მხოლოდ სამინისტროს შენობაში არსებულ არაფინანსურ აქტივებზე მატერიალურად პასუხისმგებლობა, თუმცა ქ. ზუგდიდში განთავსებული ჰუმანიტარული ტვირთის გადაბარება (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით) ნ. მორგოშიაზე ფაქტობრივად არ განხორციელებულა².

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით: სამინისტროზე გადმოცემული ჰუმანიტარული ტვირთის გაცემის/განაწილების თხოვნის თაობაზე, არც იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) სამედიცინო დაწესებულებების და არც გალის რაიონში ფუნქციონირებად სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სამინისტროში 2013 წლის 15 ოქტომბრამდე არ შემოსულა არც ზეპირსიტყვიერი და არც წერილობითი თხოვნა. თუმცა, გარემოებების შესწავლით გაირკვა, რომ სამედიცინო აღჭურვილობასა და ინვენტარზე მოთხოვნები გალის რაიონში განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებებს წერილობით შემოტანილი ჰქონდათ ჯერ კიდევ 2012 წლის აგვისტო-სექტემბერში. ასევე შემოსული იყო მოთხოვნები 2012 წლის მაისსა და ივნისში - აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიკლინიკებიდან. აღნიშნული მოთხოვნები სამინისტროს მიერ არ იქნა მიღებული მხედველობაში.

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, სამინისტრომ ამ ტვირთიდან ნაწილის გაცემა და განაწილება განხორციელა მხოლოდ 2013 წლის დეკემბრის თვეში, რომელთა საერთო ღირებულება საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებით შეადგენდა 171 692.65 ლარს; კერძოდ, მინისტრის (ქეთევან ბაკარაძის) 03.12.2013 წლის №347 ბრძანებით დამტკიცდა „ჰუმანიტარული ტვირთის განაწილების“ კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა პირადად მინისტრი. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, 2013 წლის დეკემბერში (ბრძანება №349 05.12.2013 წ.) ქ. ზუგდიდში მივლინებული სამუშაო ჯგუფის (მინისტრის

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების მოთხოვნები;

უშუალო მონაწილეობით) მიერ განხორციელდა გალის რ-ნის 9 სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებისთვის, წინასწარ შემუშავებული და გამზადებული რეესტრების შესაბამისად, 171 692.65 ლარის საერთო ღირებულების ტვირთის გადაცემა მიღება-ჩაბარების აქტებისა და თანდართული რეესტრების გაფორმებით. თუმცა ამ შემთხვევაშიც არ გაფორმებულა სამინისტროს მიერ ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით სასაქონლო ზედნადებები, ხოლო მოცემულ რეესტრებსა და აქტებში, რომელთა ნაწილი აუდიტის დაწყების მომენტისათვის არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილად (რაც დაზუსტდა აუდიტის პროცესში), საერთოდ არ მითითებულა გადაცემული ჰუმანიტარული ტვირთის ღირებულებები³, მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროსათვის ცნობილი იყო მოცემული ჰუმანიტარული ტვირთის ღირებულებები. ასევე საგულისხმოა, რომ ჰუმანიტარული ტვირთის განაწილება განხორციელდა მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მონაწილეობის გარეშე⁴.

განხორციელებული განაწილების შემდეგ, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით, ნაშთის სახით დარჩა გაუნაწილებელი 170 760.75 ლარის ღირებულების IRD-დან მიღებული ჰუმანიტარული ტვირთი. აუდიტით გამოვლინდა, რომ მოცემული ნაშთი უსაფუძვლოდ და არასწორად იყო შემცირებული 5 741.25 ლარის ღირებულებით (საკონტროლო ფაქტობრივი ნაშთი 176 502.00 ლარი). კერძოდ, არ იყო ასახული ბალანსში 23 დასახელების ჰუმანიტარული ტვირთი, რომლის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ გასავალში აისახა გალის რაიონის სოფ. რეფზე გადასაცემი სამედიცინო აღჭურვილობისა და საშუალების ღირებულებები (ფაქტობრივად სოფ. რეფის სამედიცინო დაწესებულებაზე არ იყო გადაცემული მასზე განაწილებული ჰუმანიტარული ტვირთი). სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშებისა და შესყიდვების სამსახურის (ნესტან გეგია) ინფორმაციით ჰუმანიტარული ტვირთის განაწილება/ჩამოწერა თანხობრივად გაანგარიშებულია და ასახულია სამინისტროს ბალანსში ჰუმანიტარული ტვირთის განაწილების კომისიის 06.12.2013 წლის N19 სხდომის ოქმის (ჰუმანიტარული ტვირთის სამედიცინო დაწესებულებებზე განაწილების თაობაზე) მონაცემების მიხედვით, თუმცა საბუღალტრო ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები), რომლებიც ასახავენ სამეურნეო ოპერაციების მოხდენის ფაქტს⁵. ზემოაღნიშნული კომისიის შექმნამდე მინისტრის (ქეთევან ბაკარაძე) 11.10.2013 წლის №284 ბრძანებით შექმნილი იყო ჰუმანიტარული ტვირთის განაწილების კომისია, რომელიც მინისტრმა გააუქმა იმ მიზეზით, რომ კომისიის მიერ ვერ იქნა დროულად მიღებული გადაწყვეტილება ჰუმანიტარული ტვირთის განაწილების თაობაზე.

სამინისტროს არაფინანსური აქტივებისა და მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები;

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მოთხოვნები;

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2, მე-8 და მე-10 პუნქტების, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები.

დაცვის მინისტრის 19.03.2014 წლის №94 ბრძანებით სამინისტროში შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია. ჰუმანიტარული გზით IRD საერთაშორისო დახმარებისა და განვითარების სააგენტოსგან მიღებული და ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სასაწყობო მეურნეობის ტერიტორიაზე (მის. ქ. ზუგდიდი, გორის ქ. №17) განთავსებული ჰუმანიტარული ტვირთის ინვენტარიზაციის ჩასატარებლად საინვენტარიზაციო კომისიის წევრები მივლინებული იყვნენ ქ. ზუგდიდში. ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებზე შედგა 2014 წლის 25 აპრილის საინვენტარიზაციო აღწერა (შედარებითი უწყისი N1), რომლის თანახმად საინვენტარიზაციო კომისიამ გამოავლინა 5 დასახელების 15 153.29 ლარის ღირებულების სამედიცინო აღჭურვილობისა და სამედიცინო საშუალებების დანაკლისი და 22 დასახელების 24 416.69 ლარის ღირებულების ზედმეტობა.

ამასთან, ინვენტარიზაციის დასრულებიდან 5 დღის ვადაში ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, შეკრებილი მასალები სამართალდამცავ ორგანოებისათვის არ გადაცემულა⁶. აღნიშნულის მიზეზი გახდა ის, რომ მინისტრი არ დაეთანხმა საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დადგენილ შედეგებს და 2014 წლის 25 აპრილის N124 ბრძანების („ქ.ზუგდიდში განთავსებული ჰუმანიტარული ტვირთის ქ. თბილისში კალოუზნის N16-ში გადმოტანის ორგანიზების მიზნით 2014 წლის 27 აპრილს ქ. ზუგდიდში თანამშრომელთა მივლინების შესახებ“) საფუძველზე სამინისტრომ მოახდინა ტვირთის ტრანსპორტირება და განთავსება ქ. თბილისში კალოუზნის N16-ში (სამინისტროს ოფისში).

მინისტრის 2014 წლის 25 აპრილის N125 ბრძანებით გაუქმდა რა წინა საინვენტარიზაციო კომისია, შეიქმნა ახალი საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა ჰუმანიტარული ტვირთის ხელახალი აღწერა (ინვენტარიზაცია). ხელახლა ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 1 188.50 ლარის 8 სხვადასხვა დასახელების ჰუმანიტარული ტვირთის დანაკლისი და 18 924.90 ლარის 27 სხვადასხვა დასახელების ჰუმანიტარული ტვირთის ზედმეტობა. ასევე გამოვლინდა სამინისტროს ბალანსზე რიცხული სხვა მატერიალური ფასეულობების (მარაგების, მცირეფასიანი აქტივების) 480 ლარის დანაკლისი და 812 ლარის ზედმეტობა. დაფიქსირდა 127 ერთეული სხვადასხვა დასახელების მატერიალური მარაგის ზედმეტობა, რომელთა საბალანსო ღირებულება ბუღალტერიას განსაზღვრული (დადგენილი) არ ჰქონდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინვენტარის აღწერისას სამინისტროში არ აღმოჩნდა 4 882.28 ლარის ღირებულების ექოსკოპიის გადამწოდი, რაც საინვენტარო აღწერაში აისახა როგორც დანაკლისი. როგორც გაირკვა, მოცემული ინვენტარი დროებით (2012 წლის 29 ნოემბრამდე) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაცემული და განთავსებული იყო შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ქალთა კონსულტაცია“-ში; მოცემული ვადის დასრულების მიუხედავად, ზემოაღნიშნული ინვენტარის დაბრუნება ან დამატებითი ვადის გაგრძელება ინვენტარის განთავსებაზე ამ ორ სუბიექტს შორის არ განხორციელებულა. შესაბამისად აღნიშნული გარემოება, (როდესაც ზემოაღნიშნული ფასეულობის გაწერასთან დაკავშირებით სამინისტროს რაიმე დოკუმენტი არ შეუდგენია და არ გაუფორმებია ხელშეკრულებები მოცემული ფასეულობების შენახვისა და განთავსების თაობაზე) გახდა საფუძველი იმისა,

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები;

რომ 2014 წელს საინვესტიციო კომისიის მიერ ჩატარებული ინვესტირებით დაფიქსირდა მოცემული მატერიალური ფასეულობის დანაკლისი⁷.

ორივე შემთხვევაში, როგორც ქ. ზუგდიდში განთავსებული, ასევე ქ. თბილისში გადმოტანილი ჰუმანიტარული ტვირთის, ინვესტირებები ჩატარდა მატერიალურად პასუხისმგებელი პირის არარსებობის პირობებში, რადგან ასეთი პირი, რომელზეც ოფიციალურად მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული იქნებოდა მატერიალური ფასეულობები სრულ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ვერ იქნა.

აქვე საგულისხმოა, რომ ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სასაწყობო მეურნეობის ტერიტორიაზე განთავსებული ჰუმანიტარული ტვირთის გაცემამდე (02.10.2013-06.10.2013 წწ. პერიოდში) მინისტრის 01.10.2014 წლის N270 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საინვესტიციო კომისიის მიერ ჩატარებული იყო სამინისტროს ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივების სრული ინვესტირება, რომლის შედეგად სამინისტროს ქონების ბუღალტრულ მონაცემებსა და ფაქტიურ ოდენობას შორის ზედმეტობა ან დანაკლისი არ გამოვლენილა.

ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებები ნათლად მიუთითებს, რომ არსებითი ცდომილებითაა ასახული სამინისტროს ბალანსში (არაფინანსურ აქტივებსა და მატერიალურ მარაგებში) ჰუმანიტარული გზით მიღებული სამედიცინო აღჭურვილობები და სამედიცინო დანიშნულების საგნები.

სამინისტროს ხარჯები

სამინისტროს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2013 წლის ანგარიშში (ბალანსის დანართი ფორმა N2) ფაქტობრივ ხარჯებში - საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ხარჯები „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ (არაფინანსური აქტივების გასვლა და ცვეთა) არ იყო აღრიცხული ცვეთის თანხები 18 626.89 ლარი⁸.

აღსანიშნავია, რომ რიგი ნაკლოვანებებისა და კანონშეუსაბამობისა (სახელმწიფო ქონების უკანონოდ გამოყენების ფაქტი), რომლებიც წარმოდგენილია აღნიშნულ პარაგრაფში, გამოვლენილი და წარდგენილი იყო სამინისტროსათვის აუდიტის წინა პერიოდებშიც, თუმცა სამინისტრომ ვერ უზრუნველყო მათი აღმოფხვრა, შედეგად 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება ვერ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს⁹.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები;

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები;

⁹ “საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების მოთხოვნები.

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების არსებობისა და ყოვლისმომცველობის გათვალისწინებით, სამინისტროს 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება, არ შეესაბამება "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების მოთხოვნებს.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

სამინისტროში შესაბამისი ბრძანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2013 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 12 მომუშავე და მათზე ანაზღაურებულია სულ 62 751.67 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 4 პირი აყვანილია მთელი წლის პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. კერძოდ, მათზე დაკისრებული იყო:

სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტში მოქალაქეთა მიღება და კონსულტაციის გაწევა სამინისტროს ჯანდაცვით პროგრამებთან დაკავშირებით (თვეში 570 ლარის ანაზღაურებით); სამინისტროს მატერიალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობა (თვეში 570 ლარის ანაზღაურებით); სამინისტროს სამეურნეო პირის ფუნქციები (თვეში 570 ლარის ანაზღაურებით) და სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში მოქალაქეთა მიღების ორგანიზებასთან და ასევე მოქალაქეებისაგან განცხადებების მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობა (თვეში 570 ლარის ანაზღაურებით). ჯამში აღნიშნულ შტატგარეშე მოსამსახურეებზე ანაზღაურებულია სულ 27 025.00 ლარი¹⁰.

10 „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნები.

არაფინანსური აქტივები

- სამინისტროში აუდიტის პერიოდში არ განახორციელებულა ქ. ზუგდიდში განთავსებული ჰუმანიტარული ტვირთის გადაბარება (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით) მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე¹¹.
- სამინისტრომ განახორციელა გალის რ-ნის 9 სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებისთვის, წინასწარ შემუშავებული და გამზადებული რეესტრების შესაბამისად, 171 692.65 ლარის საერთო ღირებულების ტვირთის გადაცემა მიღება-ჩაბარების აქტებისა და თანდართული რეესტრების გაფორმებით, თუმცა არ გაფორმებულა ტვირთის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით სასაქონლო ზედნადებები, ხოლო მოცემულ რეესტრებსა და აქტებში, რომელთა ნაწილი აუდიტის დაწყების მომენტისათვის არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილად (რაც დაზუსტდა აუდიტის პროცესში), საერთოდ არ მითითებულა გადაცემული ჰუმანიტარული ტვირთის ღირებულებები¹².
- სამინისტროს მხრიდან გალის სამედიცინო დაწესებულებებზე სამედიცინო დანიშნულების საგნების გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელი მოწერილი აქვს არაუფლებამოსილ პირს. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ ჰუმანიტარული ტვირთის განაწილება განხორციელდა მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მონაწილეობის გარეშე¹³.
- 4882.28 ლარის ღირებულების ფასეულობის გაწერასთან დაკავშირებით სამინისტროს რაიმე დოკუმენტი არ შეუდგენია და არ გაუფორმებია ხელშეკრულებები მოცემული ფასეულობების შენახვისა და განთავსების თაობაზე, სწორედ ეს გარემოებები გახდა საფუძველი იმისა, რომ 2014 წელს საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციით დაფიქსირდა მოცემული მატერიალური ფასეულობის დანაკლისი¹⁴.
- ძირითადი აქტივების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების და ფასეულობების აღრიცხვის ორგანიზებისა და მოვლა-შენახვაზე არ იყო უზრუნველყოფილი სრული კონტროლი. კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვით 271 დასახელების (მათ შორის ყველა მცირეფასიან ინვენტარს) არაფინანსურ აქტივს საერთოდ არ ჰქონდა მინიჭებული საინვენტარო ნომერი, ხოლო 19 სხვადასხვა დასახელების აქტივს მინიჭებული ჰქონდა ერთიდაიგივე საინვენტარო ნომერი. ასევე, 2011 წლიდან მიღებულ მატერიალურ აქტივებზე საერთოდ არ გაფორმებულა საინვენტარო ბარათები. ყოველივე ზემოხსენებული ართულებდა და შეუძლებელს ხდიდა განხორციელებიყო სამინისტროს ბალანსზე რიცხული მოცემული ინვენტარის სრული იდენტიფიცირება¹⁵.

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ზიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების მოთხოვნები;

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ზიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები;

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ზიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მოთხოვნები;

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ზიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები;

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული “ზიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები;

წარმომადგენლობითი ხარჯები

2013 წელს წარმომადგენლობითი ხარჯების საკასო ხარჯი შეადგენს 3 869.25 ლარს. წარმოდგენილია შპს „ფრესკო რითეილ გრუპი“-ს, შპს „პრიმოს“, შპს „ლადოს“, შპს „ქეთის“ საგადასახადო ანგარიშფაქტურები და სასაქონლო ზედნადებები, თუმცა 1 420.94 ლარის წარმომადგენლობით ხარჯებზე (მათ შორის შეძენილია: 314.85 ლარის ალკოჰოლური სასმელები და სხვადასხვა სასურსათო პროდუქტები) იმის ამსახველი დოკუმენტები თუ რა მიზნით და რა საჭიროებისათვის იქნა გაწეული მოცემული ხარჯები, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი არ არის.

ექსპლუატაციაში გაცემული მარაგები

აუდიტის პერიოდში ექსპლუატაციაში გაცემულია 1 927.85 ლარის ღირებულების მარაგები პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების (გასავლის ზედდებულები ან ჩამოწერის ან შესრულებული სამუშაოს აქტები ან სხვა) გაფორმების გარეშე, რომლებიც ასახავდნენ სამეურნეო მოვლენის მოხდენის ფაქტს¹⁶. ეს მარაგები წარმოადგენს ი.ს. „გიორგი კალატოზიშვილისგან“ შეძენილ საკანცელარიო საქონელს.

კომპიუტერული ტექნიკის ხარჯები

2013 წელს კომპიუტერული ტექნიკის ხარჯებმა შეადგინა 1 709.56 ლარი. წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად გაწეულია ხარჯები კომპიუტერის პროგრამულ გამართვაზე, დიაგნოსტიკასა და შეკეთებაზე, თუმცა არაა წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა კონკრეტულად რა სახის სამუშაოები ჩატარდა და რომელ კომპიუტერს ჩაუტარდა რემონტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტიურად ვერ დასტურდება კომპიუტერული ტექნიკის ხარჯების მიზანშეწონილობა და სისრულე.

ავტომანქანის საწვავი

საწვავის (ბენზინის) მიღება-ხარჯვის მდგომარეობის შესწავლით, გამოვლინდა: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, სამინისტროში შესაბამისი ბრძანებებით განსაზღვრული საწვავის ხარჯვის ლიმიტების გაუთვალისწინებლობა და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ მიერ მოწოდებული საწვავის გაცემის ამონაწერების ანალიზიდან გამომდინარე არარეალური ფაქტების არსებობა, კერძოდ:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებული იყო საკუთარი ხარჯებით, სატენდერო კომისიისა და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად შერჩეული უფლებამოსილი ლაბორატორიის მეშვეობით, ყოველკვარტალურად, სატენდერო კომისიის მიერ შერჩეული 3 ავტოგასამართი სადგურიდან უზრუნველყო საწვავის სინჯის აღების და სატენდერო კომისიასა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული პარამეტრების შემოწმება მათი დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის

¹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

განსაზღვრის მიზნით. სინჯის აღებას უნდა დასწრებოდა სატენდერო კომისიისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი პირები, რომელთა თანდასწრებითაც სინჯი უნდა დალუქულიყო და გადაცემულიყო შესაბამის ლაბორატორიას. მიუხედავად გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნებისა, შესაბამისი კონტროლის პროცედურები არ განხორციელებულა¹⁷.

- მინისტრის ბრძანებებისა და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ტრანზაქციების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ადგილი ჰქონდა საწვავის ხარჯვას მინისტრის (გენადი გადელიას) ბრძანებებით განსაზღვრულ ლიმიტს ზემოთ¹⁸:

(ლიტრი)

ავტომანქანის ნომერი	ლიმიტი			საწვავის გადახარჯვა ლიმიტთან მიმართებაში					
	15.02.2013- 26.06.2013	26.06.2013- 10.09.2013	10.09.2013- 01.01.2014	მარტი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი
HIH 722	400	1700	350	200	180			31	40
MIR 824	380	380	200	100		20	110	40	
LIA 713	100	100					10		
კონტროლზე პასუხისმგებელი პირი				მინისტრის პირველი მოადგილე ნანა გუგუჩია	მინისტრის პირველი მოადგილე ნანა გუგუჩია	მინისტრის პირველი მოადგილე ნანა გუგუჩია	მინისტრი გენადი გადელია	მინისტრი გენადი გადელია	მინისტრი გენადი გადელია

- ავტომანქანა Subaru forester -ის სახ.№ **HIH-722** (ემსახურებოდა მინისტრს - გენადი გადელიას) საპასპორტო მონაცემებისა და ინტერნეტით მოპოვებული ინფორმაციით, ძრავის მოცულობა შეადგენდა 2.5 მ³-ს, საწვავის ავზის მოცულობა 60 ლიტრს, ხოლო 100 კმ-ზე საწვავის ხარჯი საშუალოდ - 11.2 ლიტრს.

შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ მიერ წარდგენილი ინფორმაციის ანალიზით ირკვევა, რომ ხშირად ერთჯერადად (მაგ. 07.03.2013წ.; 27.05.2013 წ.; 17.06.2013 წ.; 29.06.2013 წ.; 02.07.2013 წ.) **HIH-722**-ში ისხმებოდა საწვავი 70; 80 და 110 ლიტრიც კი, რაც შეუძლებელია მანქანის ტექნიკური მონაცემების გათვალისწინებით. რამდენიმე შემთხვევაში (მაგ: 26.06.2013 წელი; 26.06.2013 წელი; 11.07.2013 წელი; 21.08.2013 წელი) დღის განმავლობაში მანქანაში ჩასხმული ბენზინის რაოდენობა შეადგენდა 180-195 ლიტრს. საწვავის ჩასხმა ძირითადად ხორციელდებოდა ვარკეთილში,

¹⁷ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ მიერ 10.01.2013 წელს დადებული #1/1 ხელშეკრულების მე-6 პუნქტის (ხელშეკრულების შესრულების კონტროლი) 6.1 ქვეპუნქტის მოთხოვნები;

¹⁸ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ მიერ 10.01.2013 წელს დადებული # 1/1 ხელშეკრულების, დანართი # 4-ის, 1.2 ქვეპუნქტის მოთხოვნები. აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 15.02.2013 წლის # 40; 26.06.2013 წლის # 155 და 10.09.2013 წლის # 257 ბრძანებები.

ჯავახეთის ქუჩაზე, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ბენზოგასამართ სადგურში.

ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ იმ პირობებში როდესაც მივლინება არ განხორციელებულა, ანუ მანქანა იმყოფებოდა ქ. თბილისში, ფაქტობრივად მანქანას უნდა გაეწვლო 1700 კმ, რაც ფიზიკურად შეუძლებელია.

ამასთან აღსანიშნავია, რომ 10.01.2013 წლის №1/1 ხელშეკრულების, დანართი №4-ის 1.13 პუნქტის მიხედვით ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათით საწვავი გაიცემოდა მხოლოდ პლასტიკურ ბარათზე მითითებული სახ. ნომრის მქონე ავტომობილებზე, ხოლო 1.14 პუნქტის მიხედვით ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათით საწვავი არ გაიცემოდა:

ა) თუკი ამოიწურებოდა საწვავის მიღებისათვის განსაზღვრული ლიმიტი;

ბ) სახ.ნომრიანი პლასტიკური ბარათის საშუალებით რაიმე სახის ჭურჭელში ჩასხმით. გარდა ზემოაღნიშნულისა, სამინისტროში მივლინებების შესახებ ბრძანებებისა და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ტრანზაქციების შედარებისას, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: 22.07.2013 წლის ბრძანება № 210-ით მინისტრი გენადი გადელია და მინისტრის მძღოლი შოთა მალანია 23.07.2013–26.07.2013-ის ჩათვლით ავტომობილით (სახელმწიფო ნომრით **HIH-722**) გაემგზავრნენ მივლინებაში ქ. ქუთაისში სამედიცინო მომსახურების საკითხებზე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან შეხვედრის მიზნით, რისთვისაც მათ სამივლინებო თანხები სრულად აუნაზღაურდათ. ამასთან, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ტრანზაქციების ამონაწერები მოწმობს, რომ 25.07.2013 წლის 15:02:49 სთ-ზე ავტომობილზე ნომრით **HIH-722** ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართ სადგურზე განხორციელდა საწვავის ტრანზაქცია 80 ლიტრის ოდენობით, ასევე 26.07.2013 წლის 12:39:58 სთ-ზე ქ. თბილისში, ჯავახეთის ქუჩაზე განხორციელდა საწვავის ტრანზაქცია 80 ლიტრის ოდენობით. მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია ან მივლინებაში წასული პირები და ავტომანქანა არ იმყოფებოდა მივლინების ადგილზე, ან ავტომანქანა გამოიყენებოდა მე-3 პირის მიერ პირადი ინტერესებისათვის.

- სამინისტროსა და ფიზიკურ პირს თამარ მარშავას შორის (ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი) 01.02.2013 წელს გაფორმდა თხოვნის ხელშეკრულება #1, რომლის საგანს წარმოადგენდა მოძრავი ქონების HYUNDAI TUCSON (სახ. ნომრით LIA-713) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადმოცემა; მონათხოვრე ვალდებული იყო 100 ლიტრის საწვავით უზრუნველყო მთხოვებელი. შესაბამისად მინისტრის 15.02.2013 წლის #40 ბრძანებით მოცემულ ავტომანქანას განესაზღვრა ყოველთვიური საწვავის ლიმიტი 100 ლიტრის ოდენობით.

თამარ მარშავას 07.11.2013 წლის მოხსენებითი ბარათის თანახმად, ზემოაღნიშნულ ავტომანქანას გამოიყენებდა სამინისტროს საკურიერო მომსახურებისათვის. კორესპოდენციის ანალიზი ცხადყოფს, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში თამარ მარშავას მიერ საკურიერო მომსახურება გაწეულია მხოლოდ 5 შემთხვევაში. ფაქტობრივად, 01.02.2013 წლიდან 03.10.2013 წლამდე პერიოდში თ. მარშავას მიერ გახარჯულია 1 633.43 ლარის ღირებულების 851 ლიტრი საწვავი; საშუალოდ ერთი წერილის მიწოდების ღირებულება შეადგენს 326.68 ლარს.

ასევე საგულისხმოა, რომ სამინისტროს საფოსტო მომსახურებას უწევდა: შპს „იგლ ექსპრესი“ 01.01.2013-23.05.2013 წლამდე (მომსახურეობისათვის გადახდილია 882.83 ლარი) და შპს „საქართველოს ფოსტა“ 30.05.2013-31.12.2013 წლამდე (მომსახურეობისათვის გადახდილია 246.30 ლარი). საფოსტო კომპანიების მიერ გაგზავნილი კორესპოდენციის ოდენობა შეადგენდა 1108 ერთეულს, რისთვისაც სამინისტროს მიერ გადახდილია სულ 1 129.13 ლარი; საშუალოდ ერთი წერილის მიწოდების ღირებულება შეადგენს 1.02 ლარს.

ზემოაღნიშნული ანალიზი ცხადყოფს, რომ საკურიერო მომსახურებისათვის გახარჯული საწვავის ღირებულება 1 633.43 ლარი წარმოადგენს არაეკონომიურ (არაპროდუქტიულ) ხარჯს.

სახელმწიფო შესყიდვები

სამინისტროს მიერ ჩატარებული 11 გამარტივებული ელექტრონული ტენდერიდან 4 შემთხვევაში ტენდერში გამარჯვებულ პრედენტთა მიერ დაფიქსირებულია საბოლოო ფასები, რომლებიც მნიშვნელოვნად (20%-ზე მეტით) დაბალია სამინისტროს მიერ განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე.

მნიშვნელოვნად დაბალი ფასები წარმოდგენილია შემდეგ შესყიდვებში:

(ლარი)						
სატენდერო განცხ. N	მომწოდებელი	სამუშაოს ტიპი	სავარაუდო ღირებულება	საბოლოო შეთავაზებული თანხა	სხვაობა (5-4)	% (5/4)
1	2	3	4	5	6	7
SPA130000508	შპს "ავერსის კლინიკა"	ამბულატორიული მომსახურება	34,800	13,899	20,901	60
SPA130000742	შპს "ავერსის კლინიკა"	თერაპიული სტაციონარების მომსახურებები	59,000	24,999	25,001	50
SPA130002123	შპს "მედელიკი"	ქირურგიული მომსახურებები	4,000	3,000	1,000	25
SPA130006634	სს „ვერე XXI“	სარეაბილიტაციო მკურნალობა	15,000	9,499	5,501	37
ჯამი	X	X	103,800	51,397	52,403	50

ზემოაღნიშნული ფაქტები მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების არაშესაბამის დაგეგმვაზე, კერძოდ ტენდერის გამოცხადებამდე სამინისტროს არა აქვს მეტი ყურადღება დათმობილი ბაზრის კვლევისა და ანალიზისათვის, მისთვის საჭირო ხარისხის შესყიდვის

ობიექტების საბაზრო ღირებულების დადგენისა და სავარაუდო ღირებულების ადეკვატურად განსაზღვრის მიზნით¹⁹.

სახელმწიფო პროგრამები

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის კანონით აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნის პროგრამის (კოდი 0506) განხორციელებისათვის დამტკიცდა 8 000 ლარი. პროგრამის მიზანი იყო დევნილთა სოციალურ სტატუსზე მონაცემების სრული პაკეტის ეტაპობრივი ფორმირება, აგრეთვე ჯანმრთელობის დოკუმენტურად დადგენილი მდგომარეობის დაფიქსირება. სამინისტროში, შესაბამისი ბრძანებით, პროგრამის კოორდინატორად დაინიშნა დეპარტამენტის უფროსი მერაბ ქირია. საგულისხმოა, რომ სამინისტროს მიერ მოცემული მიზნის შესრულება ვერ იქნა უზრუნველყოფილი²⁰, რაზეც მეტყველებს შემდეგი გარემოებები:

ზემოაღნიშნული პროგრამის შესასრულებლად სამინისტროს მიერ ჩატარებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში 12.02.2013 წელს გამარჯვებულად გამოვლინდა კომპანია „ქორსოფტი“, რომელთანაც 22.02.2013 წელს გაფორმდა №2/20 ხელშეკრულება, რომლის თანახმად მიმწოდებელს ევალებოდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის პროგრამული უზრუნველყოფა და აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურებების გაწევა. სახელშეკრულებო თანხა განისაზღვრა 7 760.00 ლარით, რაც სრულად იქნა ანაზღაურებული მომწოდებელზე, თუმცა 30.12.2013 ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ „ქორსოფტმა“ შეწყვიტა ყოველგვარი მომსახურება და სამინისტროს ამჟამადაც არ აქვს წვდომა პროგრამის მონაცემთა ელექტრონულ ბაზასთან.

სამსახურებრივი შეუთავსებლობა

სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტს ინგა დევდარიანს დაკავებული ჰქონდა საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის N10 სამმართველოში (საქართველოს სასაზღვრო უწყება) უზრუნველყოფის ჯგუფის წამყვან სპეციალისტის (ექიმ-თერაპევტი) თანამდებობა. მისი სახელფასო სარგოს ოდენობები შეადგენდა:

- საქართველოს სასაზღვრო უწყებაში 785 ლარი;
- აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროში 590 ლარი.

¹⁹ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

²⁰ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის 6.5.1 ქვეპუნქტის მოთხოვნები.

მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში²¹.

ინგა დევდარიანი გათავისუფლდა სამინისტროში დაკავებული თანამდებობიდან მინისტრის 25.11.2013 წლის ბრძანებით 2013 წლის 1 დეკემბრიდან. ბრძანების საფუძველს წარმოადგენდა ი. დევდარიანის განცხადება.

21 საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 64-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ფორმა N1 - ბალანსი 2013 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	ნაშთი წ/დ	ნაშთი წ/ზ
აქტივები			
ფინანსური აქტივები და სხვა მოთხოვნები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში			
ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის			
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის			
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3		
მოთხოვნები მივლინებით	3		
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	3		
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	3		
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	3		
არაფინანსური აქტივები			
სხვა მატერიალური მარაგები		37,246.80	204,387.18
შენობა-ნაგებობები		814,697.17	807,249.97
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		65,030.12	56,800.28
სხვა ძირითადი აქტივები		17,885	30,084.56
არაწარმოებული აქტივები		24,305.40	30,084.56
ბალანსი		959,164.74	1,122,827.39
ვალდებულებები	4		
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან			
გადასახდელი დღგ			
ვალდებულებები მივლინებით			
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით			
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ			
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		959,164.74	1,122,827.39
გაუნაწილებელი მოგება			
სულ კაპიტალი			
ბალანსი		959,164.74	1,122,827.39
საცნობარო მუხლები			
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები			
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში		3,381.64	3,381.64
ამორტიზებული ძირითადი აქტივები			2,634
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		22,961.36	24,848.46

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2013 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	შენიშვნა	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებ. გეგმით	ვალდებუ ლება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრ ივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება		47,2810.00	471,351.00	471,299.25	471,299.25	471,299.25	471,299.25	
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო		42,4800.00		407,854.25	407,854.25	407,854.25	407,854.25	
1.1.1.3 პრემია		48,010.00		63,445.00	63,445.00	63,445.00	63,445.00	
1.2 საქონელი და მომსახურება	5	145660.00	142,440.00	130,203.67	130,203.67	130,203.67	130,203.67	
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		52,560.00	62,960.00	62,751.67	62,751.67	62,751.67	62,751.67	
1.2.2 მივლინებები		9,000.00	3,000.00	1,865	1,865.00	1,865.00	1,865.00	
1.2.3 ოფისის ხარჯები		39,400.00	22,313.00	21,668.96	21,668.96	21,668.96	21,668.96	
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები		3,000.00	4,100.00	3,869.25	3,869.25	3,869.25	3,869.25	
1.2.6 სამედიცინო ხარჯები								
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები								
1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები		30,000.00	31,167.00	31,415.79	31,415.79	31,415.79	31,415.79	
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		11,700.00	18,900.00	8,633.00	8,633.00	8,633.00	8,633.00	
1.3 მირითადი კაპიტალის მოხმარება								
1.5 სუბსიდიები								
1.7 სოციალური უზრუნველყოფა		23,4000.00	240,564.00	181,277.53	181,277.53	181,277.53	181,277.53	
1.7.2 სოციალური დახმარება		23,4000.00		160,663.74	160,663.74	160,663.74	160,663.74	
1.7.2.1 ფულადი ფორმით		229,200.00		154,862.75	154,862.75	154,862.75	154,862.75	
1.7.2.2 სასაკონლო ფორმით		4,800.00		5,800.99	5,800.99	5,800.99	5,800.99	
1.7.3 დამქირავლების მიერ გაწეული სოციალური დახმარება				20,613.79	20,613.79	20,613.79	20,613.79	
1.7.3.1 ფულადი ფორმით				20,613.79	20,613.79	20,613.79	20,613.79	
1.8 სხვა ხარჯები								
სულ ხარჯები		85,2470.00	85,4355.00	782,780.45	782,780.45	782,780.45	782,780.45	

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(471,299.25)
საქონელი და მომსახურება	(130,203.67)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(18,626.89)
<i>მ.შ. ფიზიკური ცვეთა</i>	<i>18,626.89</i>
გრანტები	(110,830.35)
სოციალური უზრუნველყოფა	(181,277.53)
სხვა ხარჯები	
აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	(76,866.25)
<i>მ.შ. არაფინანსური აქტივები</i>	
<i>მატერიალური მარაგების</i>	
<i>არაწარმოებული აქტივების</i>	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
<i>აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები</i>	
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	
სულ სადებეტო ბრუნვა	(989,103.94)
სულ ჯამი	989,103.94
ნაშთი წლის დასაწყისისათვის 01/01/2011	959,164.74
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტი და მიღებული დაფინანსება	795,274.45
შემოსავლები	352,892.14
<i>მ.შ. გრანტები</i>	<i>352,892.14</i>
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	4,600
<i>მ. შ. არაფინანსური აქტივები</i>	<i>4,600</i>
<i>არაწარმოებული აქტივები</i>	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
<i>მ.შ. მოგება ფლობიდან</i>	
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	
სულ საკრედიტო ბრუნვა	1,152,766.59
სულ ჯამი	2,111,931.33
ნაშთი პერიოდის ბოლოს	1,122,827.39

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	მიღება							გასვლა						
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვით	გრანტებით	იმვე დონის სახელმწიფო ერთეულიდან შესაძენი	ნებაყოფლობითი ტრანზაქციებით გარდა გრანტებისა	სხვა შემოსავლებით	საკუთარი სახსრებით	გაყიდვით	იმვე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	გრანტები	სხვა ხარჯები	საქონელი და მომსახურება	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
1. მატერიალური მარაგები	37246.8		277970.34							110830.35		12050		204387.18
სტრატეგიული მარაგები														
სხვა მატერიალური მარაგები														
ფულადი დოკუმენტები														
სათადარიგო ნაწილები														
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები														
2. ძირითადი აქტივები	897612.54	12494	74921.80			4600			2754.40	74111.85			18626.89	894134.81
შენობა-ნაგებობები	814697.17												7447.2	807249.97
არასაცხოვრებელი შენობები	814697.17												7447.2	807249.97
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	65030.12	4734	74921.80						2754.40	74112.24			11019	56800.28
სატრანსპორტო საშუალებები	18473.90												3124.80	15349.10
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	46556.22	4734	74921.80						2754.40	74112.24			7894.20	41451.18
სხვა ძირითადი აქტივები	17885.25	7760				4600							160.69	30084.56
არამატერიალური ძირითადი აქტივები	17885.25	7760				4600							160.69	30245.25
3. არაწარმოებული აქტივები	24305.40													24305.40
მიწა	24305.40													24305.40
ხელოვნების ნიმუშები														
არაწარმოებული არამატერიალური														1122827.39

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

	ანალიზური აღრიცხვის მონაცემები														
მაჩვენებელთა დასახელება	პირველი კვარტლის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)				
			შეძენა	სხვა სახით	ექსპლუატა	სხვა სახით									
	მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	რ-ბა	რ-ბა	რ-ბა	რ-ბა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები	
1 სატრანსპორტო საშუალებები სულ:	2						30938.29	2000	24630.29	4308	30938.3	2000	24630.29	4308	
მ.შ. მსუბუქი მანქანები	2						30938.29	2000	24630.29	4308	30938.3	2000	24630.29	4308	
ჯიპები და პიკაპები															
სპეცმანქანა															
2 მანქანა დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ	204		6	33		32									
მობილური ტელეფონები	6														
ტელევიზორები	6														
კომპიუტერები	26		6												

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სამინისტროს დაფინანსების წყარო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; მას, როგორც მხარჯავ დაწესებულებას (სამინისტროს აპარატს), ბიუჯეტის კანონით მინიჭებული აქვს ორგანიზაციული კოდი: 05 01.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (სამინისტრო) საქმიანობას წარმართავდა აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 14 აპრილის N14 და 29.01.2014 წლის N12 დადგენილებებით დამტკიცებული დებულებებით; სამინისტრო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის შესაბამისად შექმნილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას აფხაზეთის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

სამინისტროს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთა ნუსხა და ანგარიშსწორების ანგარიში აფხაზეთის ხაზინაში.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- ა) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი;
- ბ) პროგრამებისა და სამედიცინო დაწესებულებების კოორდინაციის დეპარტამენტი:
 - ბ.ა) ზემო აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებები;
 - ბ.ბ) გალის რაიონის სამედიცინო დაწესებულებები;
- გ) საქმისწარმოების, ადამიანური რესურსების მართვისა და იურიდიულ საკითხთა სამმართველო;
- დ) ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;
- ე) შიდა აუდიტის სამსახური.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონით სამინისტროსათვის განსაზღვრული მომუშავეთა 39 შტატი სრულად იყო დაკომპლექტებული.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

- ა) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

გ) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. მოთხოვნები

სამინისტროში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოთხოვნები არ ირიცხებოდა.

4. ვალდებულებები

სამინისტროში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ვალდებულებები არ ირიცხებოდა.

5. საქონელი და მომსახურება

აუდიტის პერიოდში სამინისტროში დასაქმებული შტატგარეშე მუშაკებია:

N	შტატგარეშე მოსამსახურის სახელი, გვარი	ბრძანების ნომერი და თარიღი	ხელშეკრულებით დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები (ხელშეკრულების საგანი)	დასაქმების პერიოდი (ხელშეკრულების მოქმედების ვადა)	ხელშეკრულების საზღაური თვეში	სულ 2013 წელს ანზღაურებული თანხა
1	გიგა ფარფალია	# 340, 31.12.12	სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტში მოქალაქეთა მიღება და კონსულტაციის გაწევა აფხაზეთის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვითი პროგრამებთან დაკავშირებით.	01.01.2013- 31.12.2013	570	6562
2	ვახტანგ ჯანჯღავა	# 341, 31.12.12	სამინისტროს მატერიალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობა	01.01.2013- 31.12.2013	570	6840
		#122, 15.05.13		01.01.2013- 01.10.2013	570	
		# 277, 01.10.13		01.10.2013- 31.12.2013	570	
3	ამრიდონ წოწონავა	# 342, 31.12.12	სამინისტროს სამეურნეო პირი	01.01.201- 01.04.2013	570	6783
		# 73, 01.04.13		01.04.2013- 31.12.2013	570	
4	ზისადარ ბენდელიანი	# 347, 31.12.12	სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში მოქალაქეთა მიღების ორგანიზებასთან და ასევე მოქალაქეებისაგან განცხადებების მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობა	01.01.2013- 31.12.2013	570	6840
ჯამი		X	X	X	X	27025

6. სახელმწიფო შესყიდვები

სამინისტროს მიერ 2013 წელს განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულია 154 ხელშეკრულება, საიდანაც 139 შემთხვევაში ჩატარებულია გამარტივებული შესყიდვა და 3 შემთხვევაში გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, 8 შემთხვევაში ელექტრონული ტენდერი, ხოლო ავტომატური საწვავის და ფიჭური სატელეფონო კავშირის მომსახურების შესყიდვები განხორციელდა კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის გზით.

2013 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვების საშუალება	ხელშეკრულების რაოდენობა	(ლარი) გადახდა
გამარტივებული შესყიდვა	139	31,572.23
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	3	72,395
ელექტრონული ტენდერი	8	91,360.66
კონსოლიდირებული ტენდერი	4	32,785.39
ჯამი	154	228.118.30

6. სხვა განმარტებები

პრემიები

სამინისტროს მუშაკებზე მინისტრის ბრძანებების საფუძველზე გაცემულია პრემიები მთელი წლის განმავლობაში 63 445.00 ლარის ოდენობით. ერთ მუშაკზე გაცემული პრემიის მოცულობა ძირითადად შეადგენდა თანამდებობრივი სარგოს 0.5-1.5-ის და რიგ შემთხვევებში 1.7-2.0 მოცულობებს:

თანამდებობა	სახელი, გვარი	თანამდებობრივი სარგო	გაცემული თანხა	პრემიის მოცულობა (4/3)
1	2	3	4	5
მინისტრის მოადგილე/დეპარტამენტის უფროსი	გუგუჩია ნანა	2060-1150	3140	2.0
მინისტრის თანაშემწე	გულუა ნინო	850	1700	2.0
მინისტრის თანაშემწე	დუნდუა ლელა	850	1700	2.0
დეპარტამენტის უფროსი	გეჯუა მანონა	1070	2140	2.0
დეპარტამენტის უფროსი	ერქვანია ნუნუ	1070	1770	1.7
დეპარტამენტის უფროსი	კიკნაძე თამარი	1070	1760	1.6
დეპარტამენტის უფროსი	მარშავა თამარ	1150	2130	1.9

დეპარტამენტის უფროსი	ბეზია ირმა	1070	2140	2.0
დეპარტამენტის უფროსი	მირცხულავა ციალა	1070	2140	2.0
სამსახურის უფროსი	გეგია ნესტან	1070	2260	2.1
მთ. სპეციალისტი	ომანაძე ლალი	590-1070	1780	2.0
მთ. სპეციალისტი/ დეპარტამენტის უფროსი	გაგელია თამარ	590-1070	1780	2.0
აუდიტის სამსახურის უფროსი	ჟვანია ლელა	1070	1770	1.7
მთ. სპეციალისტი	კოხაძე თეა	590	1180	2.0
მთ. სპეციალისტი	ადეიშვილი თამარ	590	1180	2.0
მთ. სპეციალისტი	ლომია ალექსანდრე	590	1180	2.0
მთ. სპეციალისტი	გუმბაქორი დავით	590	990	1.7

აუდიტის ჯგუფი:

გიორგი ფრუიძე

ზონდო გასვიანი

11 ივნისი 2014 წელი